სანდრო ეკლის ფონდი.

ლექსები.

1. „ბე ლანინი ეროვნული ვნახე" (ბანქანაზე ნაბეჭდი)
2. „სახე ბზიკური" (ბანქანაზე ნაბეჭდი).
3. „ლანინის სიკვდილ" (ბანქანაზე ნაბეჭდი).
4. „ჩრდილის ლაწყეზა" (ბანქანაზე ნაბეჭდი).
5. „ჩრდილის ლაწყეზა" (")
6. „კმრი" (სდამბეჭდილ ნაბეჭდი). 2 ვ.

25494
~~104~~
7 ვ.
1334/52-58-ρ

~~სახე მზიური~~
36
სახე ეზიუკი
25494
~~104~~ 1334/52-P
1.

მე ლენინი ერთხელ ვნახე

1921 წლის 17 ოქტომბერს, მოსკოვში პოლიტგანათლების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა. ამ ყრილობაზე პირველად ვნახე ლენინი.

მე ლენინი ერთხელ ვნახე,
ვნახე ახლოს, ისე ახლოს,
რომ ახლაც მას ნათლად ვხედავ,
თითქოს იგი დღეს მენახოს.

ამისრულდა, რაც ვინაფრე
და მარადჟამს მისი სახე
წინ მიმიძღვის, გზას მინათებს,
გულში წმინდად შევინახე.

თითქოს ახლაც ფრიბუნაზე
დგას იგი და ვისმენ მის ხმას,
გადასცქერის შორს სამყაროს,
ხელგაწვდილი ამბობს სიტყვას.

სიტყვას ამბობს ყველასათვის
გასაგებს და გულში ჩამწვდენს,
სადაც ბნელა, სადაც ყინავს
მისი სიტყვა იქ ცეცხლს ანთებს.

მე ლენინი ერთხელ ვნახე,
და იმ დღიდან მისი სახე
წინ მიმიძღვის, გზას მინათებს,
გულში წმინდად შევინახე.

დღეს ლენინი უკვდავების
ცად აწვდილი მწვერვალია,
ლენინიზმის წმინდა დროშა
შუქმფრქვევი და ელვარეა.

1334/53-p2
5/38

სახე მზიური

იყო და არის,
იქნება მუდამ
ლენინის სახე მზის თანაბარი,
დღეს მას შეხარის ვით გათენებას
ცისკრის ამბორით ცყე და მთა-ბარი.
ლენინის სახეს გულით ვაცარებთ,
მცრის ბინძურ ხელს მას არ მივაკართ,
მუდამ ვიქნებით მისი მცველები..
დროთა უფსკრულში
რა არ ინთქება,
იგი ცოცხალი დარჩება მუდამ,-
სად სიბნელეა,-
ცე ცხლად ინთება
და მებრძოლთ დააქვთ
დროშად და ფარად.

3
1334/54-ρ

ლენინის სურათთან

/პიონერული ფიცი/

დიდო ლენინ, შენს სურათთან
ვდგავართ და გიცქერით,
შენს წინაშე პიონერულს
ფიცს ვდებთ გულისძგერით,
თითქოს გვესმის შენი ხმა და
ვისმენთ შენს ბრძნულ სიტყვებს,
რაც პატარებს ჩვენს გულს რწმენით
ბრძნული აზრით გვინათებს.
შენს გზას ჩვენ არ გადავუხვევთ
და შენს სახელს ვფიცავთ,
რომ შენს ანდერძს განუხრელად
ვატარებთ და ვიცავთ!
"სწავლა, სწავლა, კიდევ სწავლა",
არის ჩვენი რწმენა,
ცოდნა შუქს გვფენს, გზას გვიკაფავს,
არ გვწამს ბედისწერა.
წინ მივდივართ ერთად, მწყობრად
ლენინიზმის გზითა,
ძლევამოსილ კომუნიზმის
მოკაშკაშე მზითა.

39 4
1334/55-ρ

ბრძოლის დაწყება

ვის დაავიწყდეს
იმ დოის
პირველი აღვება,
აშრიალება იმ ფყის
და იმ ზოვის
აღვევება?!..
როსა მოედო ცეცხლად ყველგან
მართალი სიფყვა,
გაფიცულები დილით შეხვდნენ
ფყვიების სეფყვას.
შეცვლილა სახე სადგურს,
უქმად ეკიდა ზარი,
კედლებზე გაკრულ ფურცლებს მგზავრთა
ჩვდებოდა თვალი,
მქუხარე სიფყვით ყველას გული
აენთო უცებ,
ჩაედგათ თვალში რისხვის ელვა
საბრძოლო ფურცლებს.
ხელისუფლება კრთოდა, გული
აევსო ჯავრით,
"გაფიცულების დასახვრეფად
მზად არის ჯარი!"..
იმ დოიდან ბრძოლა არ ჩამქრალა,
ფრიალებს დროშა,
ბრძოლაში ყველგან თავს სჩირავენ
ჩვენს დიად დროსა...

5
1334/56-P

ბრძოლის ლაწყება

- - - - - - - - - -

ლაუვიწყარია იმ დღის
პირველი აელვება,
აშრიალება იმ ცყის
და იმ ზღვის
აღელვება,
როცა მოედო ცეცხლად ყველგან
მართალი სიცყვა,-
გაფიცულები დილით შეხვდნენ
ცყვიების სეცყვას.
შეცლილა სახე საგურს,-
უქმად ეკიდა ზარი
კედლებზე გაკრულს ფურცლებს მგზავრთა
წვდებოდა თვალი,
მქუხარე სიცყვით ყველას გული
აენთო უცებ,
თვალში უკრთოდათ ელვა რისხვებად
გაფიცულებს.
ხელისუფლება კრთოდა,- გული
აევსო ჯავრით,-
"გაფიცულების დასახვრეცათ
მეფეს ყავს ჯარი.."
იმ დღიდან ბრძოლა არ ჩამქრალა,-
ფრიალებს დროშა
ბრძოლაა ყველანნ თავს სწირავენ
ჩვენს დიად დროსა...

გ მ ი რ ი

(საბავშვო პოემა)

1

რა ამბავია?
რაღაც მომხდარა?
სტირიან, ცრემლი დამდგარა ღვარად.
ნეტა აქ ვინმე ხომ არ მომკვდარა?
რა ამბავია?
რაღაც მომხდარა!

გუშინ ამ სოფლად,
გლეხის ოჯახში
იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში,
გაშლილი სუფრა, —
ყველა მღეროდა,
ყველამ იწამა, ყველას სჯეროდა:
ოჯახს ეწვია
ბარწყინვალე ბედი —
დიდი ხნის ნატვრა, ოცნება დედის:
ოცი წლის ვაჟმა,
ოქტომბრის კბილამ,
ვისაც ეძახდნენ სახელად ილას,
ცოლი შეირთო
გლეხკაცის ქალი,
ტურფა, ლამაზი, — ამ სოფლის თვალი.

დღეს აქ რაღაცა
ამბავი არის,

1334/58-ე

ბედნიერია,
როცა მშრომელნი ჩვენში მღერიან,
რომელი ერთი
გიტიროთ უნდა.
ვინც რომ ჯარიდან არ დამიბრუნდა,
ან ვინც დასტოვა ცოლი და დედა
გაჭირვებაში, —
აღარ მოგვხედა“.

2

მწუხარე
ოჯახს და სოფელს
ილას წერილი
სიხარულს მოჰფენს.
ნუ თუ სოფელი
კვლავ ნახავს ილას?
დედა თავის შვილს ისევ იხილავს?
გულ-მკერდში ცოლი
ჩაიკრავს ქმარსა
და თავის სევდას გაატანს ქარსა?
ხარობს სოფელი, —
პატარა, დიდი,
ამბობენ: „ილას ჩვენ გმირად ვზრდიდით“.
მიულოცავენ
ცოლსა და დედას
ილას სიმარჯვეს, გაბედულებას.

იმ ღამეს,
როცა ეძებეს ილა,
იგი განშორდა სოფელს და დილას
მან დიდ ქალაქში
ამოყო თავი, —
ეძება, ნახა იქ თვითმფრინავი.
მოაჯდა იგი
ფოლადის არწივს, —